უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №08

ქ. თბილისი 17.08.2018

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

დავით აფრასიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე;
მაკა გველესიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი, საბჭოს მდივანი;
ალექსანდრე ცისკარიძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე;
დავით ბედოშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მიწადმოქმედების ინსტიტუტის დირექტორი;
ნანა შარიქაძე - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი, ასოცირებული პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
კონსტანტინე სირბილაძე - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
თამარ იოსელიანი - სსიპ - საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის მოადგილე;
გიორგი ისაკაძე - ა(ა)იპ - ბიზნესმედია საქართველოს დამფუძნებელი;
მაგდა მაღრაძე - სსიპ - ათასწლეულის გამოწვევის ფონდის - „საქართველო" (MCA – Georgia) აღმასრულებელი დირექტორი;
ნოდარ შურღაია - შპს დასაქმების სააგენტო ეიჩარის დირექტორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ლაშა მარგიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
თამარ შენგელია - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;
სოფიო ვასაძე - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის წარმომადგენელი/წარმომადგენლები:

ნინო პატარაია - სამართლის სკოლის უფროსი;

მარიამ გოხიძე - უფროსი ინსპექტორი.

სხვა დამსწრე პირები:

ნანა როსტომაშვილი - ა(ა)იპ - კერძო უმაღლესი სასწავლებლების ასოციაციის წარმომადგენელი.

საბჭოს სხდომა დაიწყო 17:10 საათზე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, დავით აფრასიძემ.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიისთვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა;
2. შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია SBA-სათვის ავტორიზაციის (უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის) გაუქმების საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. საბჭოს წინაშე შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი. შესაბამისად, საბჭოს წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

1. სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიისთვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ლაშა მარგიშვილმა საბჭოს გააცნო საქმის ვითარება. მისი განცხადებით, სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (სასწავლო უნივერსიტეტი) მინიჭებული ჰქონდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 13 ივნისის №14 გადაწყვეტილებით. ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონში და ასევე, ,,პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონში 2018 წლის 21 ივლისს განხორციელებული ცვლილებების თანახმად, სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია აღარ იქნება საპოლიციო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება და შესაბამისად აღარ განახორციელებს საპოლიციო უმაღლეს აკადემიურ საგანმანათლებლო პროგრამებს.

აღნიშნულის შესაბამისად, საბჭოს წინაშე წარმოდგენილ იქნა სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის შუამდგომლობა ავტორიზაციის გაუქმების თაობაზე. ამასთანავე, დაწესებულებამ გამოთქვა მზაობა, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ხელი შეუწყოს სტუდენტებს მობილობის პროცესში.

ლაშა მარგიშვილის განცხადებით, აღნიშნულ დაწესებულებას სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ერიცხებოდა 279 აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი და 26 სტატუსშეჩერებული სტუდენტი, ხოლო საჯარო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ერიცხებოდა 1 სტატუსშეჩერებული სტუდენტი. თუკი, საბჭო მიიღებდა გადაწყვეტილებას დაწესებულებისთვის ავტორიზაციის გაუქმების შესახებ, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი უზრუნველყოფდა სტუდენტების ინფორმირებულობას აღნიშნულ საკითხთან და მობილობის შესაძლებლობასთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიისთვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე -10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 56^2-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტის, 56^4-ე მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტისა და 28-ე მუხლის საფუძველზე, სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიას (საიდენტიფიკაციო კოდი: 209467628) გაუუქმდეს ავტორიზაცია.

2. შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია SBA-სათვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ლაშა მარგიშვილმა საბჭოს გააცნო საქმის ვითარება. მისი განცხადებით, შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA - ის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (კოლეჯი) მინიჭებული ჰქონდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2013 წლის 12 დეკემბრის №31 გადაწყვეტილებით. ამასთან, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 09 აგვისტოს სხდომაზე შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA - ის მიენიჭა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (საზოგადოებრივი კოლეჯი). ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების თანახმად, დაწესებულება არ არის უფლებამოსილი ერთდროულად ფლობდეს უმაღლესი საგანმანათლებლო და პროფესიული საგანმანათელბლო დაწესებულების სტატუსს სხვა დამოუკიდებელი იურიდიული პირის შექმნის გარეშე. ამ მოთხოვნის შეუსრულებლობა შეიძლება გახდეს ავტორიზაციის გაუქმების საფუძველი. აღნიშნულის შესაბამისად, საბჭოს წინაშე წარმოდგენილ იქნა შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA - სათვის ავტორიზაციის (უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის) გაუქმების საკითხი. ამასთანავე, დაწესებულებამ გამოთქვა მზაობა, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ხელი შეუწყოს სტუდენტებს მობილობის პროცესში.

ლაშა მარგიშვილის განცხადებით, აღნიშნულ დაწესებულებას ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ერიცხებოდა 27 აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი და 15 სტატუსშეჩერებული სტუდენტი, ხოლო ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ერიცხებოდა 22 აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი და 16 სტატუსშეჩერებული სტუდენტი. თუკი, საბჭო მიიღებდა გადაწყვეტილებას დაწესებულებისთვის ავტორიზაციის გაუქმების შესახებ, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი უზრუნველყოფდა სტუდენტების ინფორმირებულობას აღნიშნულ საკითხთან და მობილობის შესაძლებლობასთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA - სათვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე -10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-6 პუნქტის, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 56^2-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტის, 56^4-ე მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტისა და 28-ე მუხლის საფუძველზე, შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ის (საიდენტიფიკაციო კოდი: 406037550) გაუუქმდეს ავტორიზაცია (უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი).

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ 17:30 საათზე საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
დავით აფრასიძე

მდივანი
მაკა გველესიანი